



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №111

2013 წლის 1 აგვისტო

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №20 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის №20 განკარგულებაში და განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.დანიშნულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ელგუჯა ბაგრატიონი ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ.“.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ა.კაკაბაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ე.ბაგრატიონი